



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 111

2017 წლის 03 აგვისტო

ქ. თბილისი

2017 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების შეფასებისა და საბოლოო ქულის დაანგარიშების
წესის შესახებ

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესი და პირობების მე-9 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, დავით ჩიჩუას, სამსახურებრივი ბარათის (N894398, 01.08.2017) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2017 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების შეფასებისა და საბოლოო ქულის დაანგარიშების წესი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

**პროექტის საბოლოო ქულის გამოთვლისა და დაფინანსების წესები 2017 წლის
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების
კონკურსისთვის**

§ 1. პროექტის საბოლოო ქულის გამოთვლის წესი

1. პროექტი შესაფასებლად გადაეცემა ორ დამოუკიდებელ ექსპერტს.
2. თუ მათ მიერ დაწერილ ქულებს შორის სხვაობა არ აღემატება 5-ს, მაშინ საბოლოო ქულა იქნება ექსპერტების მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკული¹.
3. თუ ექსპერტების მიერ დაწერილ ქულათა შორის სხვაობა აღემატება 5-ს, მაშინ პროექტი შესაფასებლად გადაეცემა მესამე ექსპერტს.²
4. სამი ექსპერტის მიერ დაწერილ ქულებს შორის შეირჩევა ორი ახლოს მდგომი ქულა და საბოლოო ქულა იქნება ახლომდგომ ქულათა საშუალო არითმეტიკული.
5. თუ სამი ექსპერტის შეფასების შედეგად ქულები თანაბრად იქნებიან დაშორებული მედიანასგან³, მაშინ საბოლოო ქულა მედიანას ტოლი იქნება.
6. თუ პროექტი შეფასებულია ორი ექსპერტის მიერ ქულებით, რომელთა სხვაობა აღემატება 5-ს, ხოლო მაქსიმალური ქულა არ აღემატება 12-ს, მაშინ პროექტი შესაფასებლად მესამე ექსპერტს არ გადაეცემა⁴ და საბოლოო ქულა იქნება ორი ექსპერტის მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკული.

§ 2. საუკეთესო პროექტების განსაზღვრის წესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით.

¹ ამ შემთხვევაში გადახრა 18,5 %-ის ტოლია

² თუ ქულათა სხვაობა 6-ის ტოლია გადახრა იქნება 22,2%

³ თუ გვაქვს სამი რიცხვი, მაშინ მედიანა არის რიცხვი, რომელიც მინიმალურ და მაქსიმალურ რიცხვებს შორის არის მოთავსებული

⁴ ამ შემთხვევაში, მესამე ქულის ნებისმიერი მნიშვნელობისთვის საბოლოო ქულა ნაკლები იქნება 18-ზე, რაც დაფინანსების მოსაპოვებლად არ არის საკმარისი

1. საუკეთესო პროექტების განსაზღვრისათვის პირველ ეტაპზე გამოითვლება თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის 1, 2,..., 7 იმ პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომლებიც 18- ზე მეტია ან ტოლია და შესაბამისად აღინიშნება $q_1, q_2, \dots, q_7$ -ით.
2. საუკეთესო პროექტების განსაზღვრისათვის მეორე ეტაპზე გამოითვლება 1, 2,..., 7 თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის იმ პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომლებიც მეტია ან ტოლია შესაბამისად $q_1, q_2, \dots, q_7$ - ზე და აღინიშნება შესაბამისად $n_1, n_2, \dots, n_7$ - ით.
3. $n_1, n_2, \dots, n_7$ არის შესაბამისად 1, 2,..., 7 სამეცნიერო მიმართულებების ქვედა ზღვარი
4. პროექტებს, რომელთა შეფასებაც მეტია ან ტოლია შესაბამისი სამეცნიერო მიმართულების ქვედა ზღვარზე, ეწოდებათ საუკეთესო პროექტები.

§ 3. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების წესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით.

დაფინანსების მოპოვებისათვის თითოეული სამეცნიერო მიმართულებიდან განიხილება მხოლოდ საუკეთესო პროექტები.

- მე - 7 მიმართულებისთვის (საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები) განსაზღვრული ბიუჯეტი შეადგენს კონკურსისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის 10%-ს.
- 1-6 სამეცნიერო მიმართულებებისათვის ბიუჯეტი განსაზღვრა
 1. თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის (1-6) განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$k_1 = \frac{n_1}{N}, k_2 = \frac{n_2}{N}, \dots, k_6 = \frac{n_6}{N}$$

სადაც $n_1, n_2, \dots, n_6$ განსაზღვრულია § 1- ის პუნქტი 2- ის შესაბამისად, ხოლო $N = n_1 + n_2 + \dots + n_6$

2. თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის (1-6) განისაზღვრება ბიუჯეტი შემდეგი ფორმულით:

$$B_1 = k_1 \cdot M, B_2 = k_2 \cdot M, \dots B_6 = k_6 \cdot M,$$

სადაც M არის 1-6 სამეცნიერო მიმართულებებისათვის გამოყოფილი ჯამური თანხა, რომელიც შეადგენს კონკურსისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის 90%-ს, ხოლო $B_1, B_2, \dots, B_6$ არის შესაბამისად 1-6 სამეცნიერო მიმართულებების ბიუჯეტები.

§ 4. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების წესი სამეცნიერო ქვე-მიმართულებების მიხედვით.

1. თითოეული სამეცნიერო ქვემიმართულებიდან განიხილება საუკეთესო პროექტები - პროექტები, რომელთა ქულაც მეტია ან ტოლია შესაბამისი მიმართულების ქვედა ზღვარზე და გამოითვლება მათი საშუალო არითმეტიკული. მიღებულ საშუალო არითმეტიკულს ეწოდება ქვე-მიმართულების ხარისხის მაჩვენებელი. i,j ქვე-მიმართულების ხარისხის მაჩვენებელი აღინიშნება c_{ij} - ით.
2. თითოეული i,j ქვე-მიმართულებისათვის განვსაზღვროთ $P_{i,j}$ კოეფიციენტი,

$$P_{ij} = \frac{c_{ij}}{c_i} \quad i=1, 2, \dots, 7,$$

სადაც

$$C_i = c_{i1} + c_{i2} + \dots + c_{iz} \quad i=1, 2, \dots, 7,$$

ხოლო iz არის i მიმართულებაში შემავალი ქვემიმართულებების ჩამონათვალში ბოლო ქვემიმართულების ინდექსი. ამრიგად, c_{ij} ქვე-მიმართულების $P_{i,j}$ კოეფიციენტი წარმოადგენს ქვემიმართულების ხარისხის მაჩვენებლის შეფარდებას i მიმართულებაში შემავალი ყველა ქვე-მიმართულებების ხარისხის მაჩვენებელთან ჯამზე.

3. i,j ქვე-მიმართულების ბიუჯეტი განვსაზღვროთ შემდეგი ფორმულით:

$$b_{ij} = B_i \cdot P_{ij} \quad i=1, 2, \dots, 7$$

ამრიგად, ქვემიმართულების ბიუჯეტი ტოლია მიმართულების ბიუჯეტისა და ქვემიმართულების კოეფიციენტის ნამრავლისა.

§ 5. პროექტების დაფინანსების წესი.

1. თითოეული სამეცნიერო ქვემიმართულებისთვის ცალ-ცალკე კეთდება ქულების მიხედვით პროექტების რანჟირებული სია.
2. ყოველ ქვემიმართულებაში ფინანსდება მხოლოდ საუკეთესო პროექტები შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ) სანამ სამეცნიერო ქვე-მიმართულებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი სრულად იძლევა პროექტის დაფინანსების საშულებას.
3. r_{i1} -ით აღინიშნება თანხის ოდენობა, რომელიც დარჩება $i.1$ ქვემიმართულებაში ნაშთის სახით. r_{i2} -ით აღინიშნება თანხის ოდენობა რომელიც დარჩება $i.2$ ქვემიმართულებაში ნაშთის სახით და ა.შ. -ით r_{iz} აღინიშნება თანხის ოდენობა რომელიც დარჩება $i.z$ ქვემიმართულებაში ნაშთის სახით. (iz არის i მიმართულებაში შემავალი ქვე-მიმართულებების ჩამონათვალში ბოლო ქვე-მიმართულების ინდექსი).

$$R_i = r_{i1} + r_{i2} + \dots + r_{iz} \quad i=1, 2, \dots, 7$$

სადაც R_i არის i სამეცნიერო მიმართულებაში შემავალი ყველა ქვე-მიმართულებების ნაშთების სახით დარჩენილი თანხათა ჯამი.

4. R_i თანხა ნაწილდება i მიმართულებისთვის ($i=1,2,\dots, 7$) შედგენილი ერთიანი რანჟირებული სიის მიხედვით დაფინანსების გარეშე დარჩენილ საუკეთესო პროექტებს შორის (ზევიდან ქვევით) სამეცნიერო ქვე-მიმართულებების გაუთვალისწინებლად.
5. თითოეული სამეცნიერო მიმართულებებიდან ნაშთის სახით დარჩენილი თანხათა ჯამი აღინიშნება Δ -თი

$$\Delta = \delta_1 + \delta_2 + \delta_3 + \delta_4 + \delta_5 + \delta_6 + \delta_7,$$

სადაც $\delta_1, \delta_2, \dots, \delta_7$ შესაბამისად 1,2,...,7 სამეცნიერო მიმართულებებში ნაშთის სახით დარჩენილი თანხებია,

6. Δ თანხა ნაწილდება დაფინანსების გარეშე დარჩენილ საუკეთესო პროექტების ერთიანი რანჟირებული სიის მიხედვით (ზევიდან ქვევით) სამეცნიერო მიმართულებების გაუთვალისწინებლად.
7. ზემოაღნიშნული პროცედურების შემდეგ, ნაშთის სახით დარჩენილი თანხა, რომელიც არ იქნება საკმარისი ერთიანი რანჟირებული სიის რიგით შემდეგი საუკეთესო პროექტის დასაფინანსებლად, დაბრუნდება ფონდის ბიუჯეტში.

§ 6. დამატებითი პირობა პროექტების დაფინანსების შესახებ

ამ წესის შესაბამისად საუკეთესო პროექტების გამოვლენის შემდგომ, კონკურსისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში აუთვისებელი თანხით ფინანსდება 18- ზე მეტი ან ტოლი ქულის მქონე დარჩენილი პროექტები ერთიანი რანჟირებული სიიდან (ზევიდან ქვევით) სამეცნიერო მიმართულებების გაუთვალისწინებლად, სანამ კონკურსის ბიუჯეტი იძლევა პროექტს სრულად დაფინანსების საშუალებას.